სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

01/09/2025

MES 1 25 0001048574

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის (ერასმუს+) ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით აპლიკანტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის №01-05-04/02 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, თეა მურვანიძის 2025 წლის 26 აგვისტოს (1024481) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ :

1. 2025-2026 წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებისთვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში (ერასმუს+) მონაწილეობის მიღების მიზნით, აპლიკანტების შესარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თამარ ლომინაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
ივანე ჯაგოდნიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
თეა მურვანიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
მიხეილ ჯანიკაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი;
ზაზა ბუაჩიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი;
დავით ხვედელიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
დავით ლეშკაშელი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი/წარმომადგენელი/;
შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/წარმომადგენელი.

2. დაევალოს კომისიას:
ა) სააპლიკაციო განაცხადების განხილვა და გასაუბრება ჩაატაროს კონკურსისთვის გამოცხადებულ ვადებში.
ბ)კონკურსანტების შეფასება განახორციელოს „გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესის დამტკიცების თაობაზე“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის №01-05-04/02 დადგენილებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
გ) კონკურსის შედეგები კონკურსანტებს ინდივიდუალურად აცნობოს საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, თამარ ლომინაძეს.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).



რექტორი
გურგენიძე დავით

ელექტრონული
მფლობელსაუღი
ელექტრონული